MES 9 20 0000907385

29/09/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 15.09.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:20 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული (I, II საკითხები)
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა (III, IV, V საკითხები)
სხდომის მდივანი: გიორგი თურქია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი -საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი - სხდომის მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
7. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
8. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;

9. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
10. **რომეო გალდავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
11. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	მამუკა თავხელიძე	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორი	I
2.	გულნაზი გალდავა		რექტორის მოადგილე ადმინისტრირებასა და იურიდიულ საკითხებში	I
3.	გიორგი მირიანაშვილი		სამართლის სკოლის ასისტენტი	I
4.	თეა სამჭკუაშვილი		ასოცირებული პროფესორი	I
5.	თამარ ჩხეიძე	სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
6.	ლეილა მარუაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	II
7.	მაკა ვირსალაძე		მუსიკისმცოდნეობის და კომპოზიციის ფაკულტეტის დეკანი	II
8.	თამარ თევდორაშვილი		თვითშეფასების ჯგუფის წევრი, მოწვეული მასწავლებელი	II
9.	ნინო ჭალისური		მოწვეული მასწავლებელი	II
	თამარ თავშავაძე			II

10.			მოწვეული მასწავლებელი	
11.	თამარ ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისუფროსის მოადგილე	**II**
12.	მანანა ცერცვაძე	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III-IV**
13.	ლელა აფციაური		ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის (საბაკალავრო, სამაგისტრო) პროგრამების ხელმძღვანელი	**III-IV**
14.	მარიამ ველიჯანაშვილი		რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში	**III-IV**
15.	თამარ სოზიაშვილი		ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი	**III-IV**
16.	მაკა ბერიძე	სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი	**V**
17.	ნინო მილაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი	**V**
18.	გოჩა თუთბერიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**V**
19.	ცისკარა ზარანდია		პროფესორი	**V**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ბაგაური ნიკოლოზ	(ჩაერთო „ზუმით“)	**I**
2	ნინო დოლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**I**
3	ნინო ფარსადანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**I**
4	სოფიო კილასონია	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
5	სალომე ჩარკვიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
6	მარინე თოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**III-IV**
7	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**V**

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ დააკისრა საბჭოს წევრს გიორგი თურქიას.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის „მუსიკის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების “საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის „მუსიკის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების “საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0159 ირინა ენუქიძის ქუჩა N3 (დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა დიმიტრი გეგენავამ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო დოლიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომის დამწრე პირებს, მან განაცხა, რომ ვიზიტი ჩატარდა მიმდინარე წლის 29 ივლისს. ვიზიტი განხორციელდა შერეული მეთოდით, კერძოდ შეფასების ნაწილი განხორციელდა ადგილზე მისვლით, ნაწილი კი - დისტანციურად Zoom-ის მეშვეობით. ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ადგილზე დაეთვარიელებინათ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და გასაუბრებოდნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს. ვიზიტი ჩატარდა კონსტრუქციულ გარემოში და ექსპერტების მიერ II სტანდარტთან (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება) მიმართებით დადგინდა მეტწილად შესაბამისობა, რეკომენდაციები ჰქონდათ 2.2, 2.3 და 2.4 ქვესტანდარტებთან მიმართებით. ნინო დოლიძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პრობრამა იყო ახალი, თუმცა, დაწესებულებაში მილევად რეჟიმში ხორციელდებოდა საჯარო მმართველობის ძველი სამაგისტრო პროგრამა და ამიტომ ექსპერტთა ჯგუფი იმ პროგრამის კურსდამთავრებულებსაც შეხვდა.

ექსპერტებმა საბჭოს წარუდგინეს შემდეგი რეკომენდაციები:

- პროგრამის კურიკულუმის ეკონომიკრი კომპონენტის გაძლიერების მიზნით დაემატოს ეკონომიკის საფუძვლების შინაარსის საგანი, სავალდებულო არჩევითი სტატუსით, რომელიც სავალდებულო იქნება იმ სტუდენტებისათვის,რომელთაც სწავლების სხვა საფეხურზე მსგავსი შინაარსის საგანი გავლილი არ აქვთ;
- საგანი „რეგულირების გავლენის შეფასება“ პირველი სემესტრის სავალდებულო საგნების ბლოკიდან გადატანილ იქნას მეორე ან მესამე სემესტრის სავალდებულო საგნების ბლოკში და მის წინაპირობად განისაზღვროს საჯარო პოლიტიკა და ეკონომიკის საფუძვლები;
- საგნებისათვის „სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა“ და „მენეჯერული ეკონომიკა“ წინარეკვიზიტად განისაზღვროს ეკონომიკის საფუძვლების შინაარსის საგანი;
- პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება პროგრამის სხვა კურსების ფარგლებში, გარდა პროფესიული პრაქტიკისა და კონკრეტული საგნების შუალედური შეფასების ერთ-ერთ კომპონენტად პრაქტიკული ხასიათის დავალებების განსაზღვრა, მაგალითად „რეგულირების გავლენის შეფასების“ კურსში;
- პრაქტიკული კომპონენტის შესაფასებლად პრაქტიკის გარდა ალტერნატიული პროექტის შესაძლებლობის შეთავაზება (სოციალური პროექტი, წინასადიპლომო ჯგუფური პროექტი ან სხვა აქტივობა), რაც სტუდენტს იმავე სწავლის შედეგებზე გაიყვანს, რადგან სტაჟირება მიუხედავად იმისა რომ არის მემორანდუმები დადებული სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებთან მაინც მყიფე კომპონენტია და სტუდენტი არ უნდა ჩადგეს მდგომარეობაში, რომ მისი ვალდებულება იყოს ის, რასაც უნივერსიტეტი და საჯარო სექტორი, რაზეც უნივერსიტეტი და საჯარო სექტორი თეორიულად შესაძლებელია ერთმანეთში ვერ თანხმებოდნენ;

- სამაგისტრო ნაშრომში კვლევითი კომპონენტის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საგნის „კვლევის მეთოდები“ ძირითად ბლოკში გადმოტანა და აკადემიური წერის თემატიკის დამატება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

უნივერსიტეტის რექტორმა, მამუკა თავხელიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, ასევე ექსპერტთა ჯგუფს, რადგან ვიზიტი იყო ძალიან ნაყოფიერი, საქმიანი, კეთილგანწყობილი და მისი აზრით ეს ვიზიტი შესაძლებელია ერთ-ერთ სანიმუშო ვიზიტად ჩაითვალოს აკრედიტაციის ექსპერტთათვის.

მისი თქმით დაწესებულების წარმომადგენლები რეკომენდაციების ძირითად ნაწილს ეთანხმებიან, თუმცა, ჰქონდათ თავისი ხედვებიც. ეკონომიკურ ბლოკთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა არ ჩართეს, რადგან ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებში გადიოდნენ, თუმცა ექსპერტების მოსაზრება მისაღებია და იზიარებენ, ვინაიდან არის შესაძლებლობა ვიღაცას არ ჰქონდეს გავლილი, შესაბამისად მას უნდა ჰქონდეს არჩევის საშუალება და დაწესებულება აუცილებლად გაიზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას.
სხვადასხვა საგანში პრაქტიკული კომპონენტის არსებობასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთი კომპონენტები „ქეისების“ სახით აქვთ წარმოდგენილი, მაგ.: სტუდენტებმა უნდა გააკეთონ კვლევითი პროექტი რომელიმე ორგანიზაციის გარკვეული საკითხის ანალიზთან დაკავშირებით, მაგრამ თუ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ „პრაქტიკული კომპონენტი“ ამ ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობით უნდა ჩაიდოს გარკვეულ საგნებში, ესეც შესაძლებელია და უზრუნველყოფაც მარტივია, რადგან დაწესებულებას ფართო კონტაქტები აქვს მემორანდუმების სახით წინა პროგრამების გამოცდილების გათვალისწინებით სხვადასხვა ორგანიზაციებთან.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მთლიანობაში მისაღებია ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები, თუმცა ამავდროულად არ სურს საბჭოს დარჩეს შთაბეჭდილება, რომ დაწესებულებას ეს ყველაფერი არ ჰქონდა გათვლილი, რადგან სხვა მიდგომით იყო ყველაფერი გათვალისწინებული და ეს მიდგომაც მისაღებია მათთვის და აუცილებლად გაითვალისწინებენ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გიორგი მირიანაშვილმა კვლევის მეთოდების საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კვლევის მეთოდები არის საუნივერსიტეტო სავალდებულო საგანი, მართალია სასწავლო გეგმაში მითითებულია თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო დისციპლინაში, თუმცა აღნიშნული საგნის გავლა სავალდებულოა თითოეული მაგისტრანტისთვის, ანუ საგანი „კვლევის მეთოდები“ არ არის არჩევითი, ასევე შესაძლებელია ამ დისციპლინაში გაძლიერდეს აკადემიური წერის კომპონენტებიც, შესაბამისად იზიარებენ აღნიშნულ რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდა დაწესებულება აღნიშნულ პროგრამაზე.

უნივერსიტეტის რექტორმა უპასუხა, რომ გეგმავენ 10-12 სტუდენტის მიღებას.

რექტორმა განმარტა, რომ როგორც აკრედიტაციის ექსპერტმა აღნიშნა, განსახილველი პროგრამა სამართალმემკვიდრეა წინა პროგრამების, რომლებიც იყო საფრანგეთის 2 უნივერსიტეტსა და პოტსდამის უნივერსიტეტთან, თუმცა ფინანსური პრობლემის გამო პროგრამა გადაიტანეს მილევად რეჟიმში, რადგან საქართველოში ამ თვალსაზრისით არ არის

დიდი შესაძლებლობა, თუმცა მათ პრაქტიკულად დადგენილი ფასის მეოთხედის გადახდა უწევდათ, ამიტომ გადაწყდა, რომ მომხდარიყო პროგრამის მოდიფიცირება და ექსპერტთა ჯგუფმა მოიწონა აღნიშნული პროგრამა და მაღალი შეფასება მისცეს. ამდენად პროგრამა იმ ერთობლივი პროგრამებიდან აღებულის სინთეზია და შეიძლება ჩაითვალოს, რომ არის უცხოელ ექსპერტებთან ერთად შემუშავებული.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ახსოვდა ზემოაღნიშული პროგრამა, რომელიც საკმაოდ კარგი პროგრამა იყო და პაატა ტურავაც იყო ჩართული. ასევე მწუხარება გამოთქვა, რომ საქართველოში ამ პირობებში უნივერსიტეტებს ძალიან გაუჭირდათ, არადა ასეთი კარგიპროგრამების შენახვა, თავისი თავი რომ გამოკვებოს უკვე ფაქტობრივად წარმოუდგენელია, მითუმეტეს თუ უცხოელი პროფესორის ჩამოყვანას დაგეგმავს დაწესებულება და გაიხსენა, რომ აღნიშნულ უნივერსიტეტს წინა პროგრამებზე პოტსდამიდანაც ჩამოყავდათ ლექტორები, ახლა კი გამორიცხულია მსგავსი ფაქტი, რადგან ასეთ შემთხვევაში პროგრამის საფასური იქნება 15-20 ათასი ლარი, რასაც ვერავინ შეწვდება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამას უკვე დამკვიდრებული აქვს სახელი და გამოცდილებაც აქვთ. შესაბამისად, პროგრამას ცნობადობა არ აკლია ამ მხრივ, რაც პოზიტიური და ხელშემწყობი ფაქტორია პროგრამისთვის.

ექსპერტმა, ნინო ფარსადანიშვილმა დაამატა, რომ ვიზიტის დროს გამოიკვეთა აკადემიური პერსონალის გუნდურობა გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიმართულებით და შემდეგ ამ ყველაფრის სტუდენტებისთვის გაზიარებით, რომ ერთ-ერთი სანიმუშოა, რაც კიდევ ერთი დადებითი ფაქტორია პროგრამისა და შემდეგი პიარისათვის. ექსპერტის მოსაზრებით სტუდენტებს მოჰყავთ სტუდენტები, ყველაზე კარგი რეკლამა სტუდენტების კმაყოფილებაა, რაც გამოიკვეთა ვიზიტის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ნიკოლოზ კიკნაძე გამოეხმაურა ექსპერტების ერთ-ერთ რჩევას და დაწესებულების წარმომადგენლებს ჰკითხა თუ რატომ არ შეინარჩუნეს ერთი ან რამდენიმე ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი.

უნივერსიტეტის რექტორმა უპასუხა რომ, როგორც უკვე აღნიშნა, აქ ფინანსურ საკითხებზე იყო საუბარი, ის ურთიერთობები არ მოშლილა, უბრალოდ, პროგრამა შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერ სტუდენტს საერთაშორისო მობილობა განახორციელოს პარტნიოს უნივერსიტეტებთან და იმ შემთხვევაში თუ მას ამის შესაძლებლობა ექნება, იქ სწავლისათვის გარკვეული თანხის დამატება მოუწევს. თუმცა, როდესაც დაწესებულებას ჰქონდა წინა პროგრამები იქ გართიანებული ჰქონდათ წასასვლელი თანხაც და საქართველოში სწავლიც თანხაც და მთლიანი თანხა ჰქონდათ შეთავაზებული, მაგრამ ეს ერთგვარად თავიდანვე აშინებდა სტუდენტებს, დაახლოებით 10 სტუდენტის გაგზავნა მოხდა, რომლებმაც მიიღეს 2 დიპლომი. ამ ეტაპზე კი, ვინაიდან ეს არის მონო პროგრამა, სტუდენტებს შეუძლიათ განახორციელონ საერთაშორისო მობილობა და ვისაც აქვს შესაძლებლობა მოუწევს თანხის დამატება.

საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ დააფიქსირა რეკომენდაცია სავალდებულო საგან „კომუნიკაცია“-სთან დაკავშირებით, რომელშიც ჩვეულებრივი, საკომუნიკაციო სისტემები კარგადაა გაწერილი, მაგრამ სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია ორი წიგნი: გიორგი თარგამაძის „ინფორმაციული ომი საქართველოს წინააღმდეგ“ და Sergio Sismondo-ს „An Introduction to Science and Technology Studies“, რომელიც არის კუნის რევოლუციის შემდეგ

სტენის და ტექნოლოგიის ურთიერთობებზე დაწყებული ფემინისტებიდან, ეს ლიტერატურა შესაძლებელია სხვა სილაბუსიდან იყოს მექანიკურად გადაყოლილი, რადგან არ შეესაბამება კურსის სილაბუსს.

რექტორი დაეთანხმა საბჭოს წევრს და განაცხადა რომ ეს გახლდათ ტექნიკური შეცდომა და აუცილებლად გასწორდებოდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:38
დასრულების დრო: 16:41

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა/დაამატა შემდეგი რეკომენდაცი(ებ)ი:

- პროგრამის კურიკულუმის ეკონომიკური კომპონენტის გაძლიერების მიზნით დაემატოს ეკონომიკის საფუძვლების შინაარსის საგანი, სავალდებულო არჩევითი სტატუსით, რომელიც სავალდებულო იქნება იმ სტუდენტებისათვის ,რომელთაც სწავლების სხვა საფეხურზე მსგავსი შინაარსის საგანი გავლილი არ აქვთ;
- საგანი „რეგულირების გავლენის შეფასება“ პირველი სემესტრის სავალდებულო საგნების ბლოკიდან გადატანილ იქნას მეორე ან მესამე სემესტრის სავალდებულო საგნების ბლოკში და მის წინაპირობად განისაზღვროს საჯარო პოლიტიკა და ეკონომიკის საფუძვლები;
- საგნებისათვის „სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა“ და „მენეჯერული ეკონომიკა“ წინარეკვიზიტად განისაზღვროს ეკონომიკის საფუძვლების შინაარსის საგანი;
- პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება პროგრამის სხვა კურსების ფარგლებში, გარდა პროფესიული პრაქტიკისა და კონკრეტული საგნების შუალედური შეფასების ერთ-ერთ კომპონენტად პრაქტიკული ხასიათის დავალებების განსაზღვრა, მაგალითად „რეგულირების გავლენის შეფასების“ კურსში;
- პრაქტიკული კომპონენტის შესაფასებლად პრაქტიკის გარდა ალტერნატიული პროექტის შესაძლებლობის შეთავაზება (სოციალური პროექტი, წინასადიპლომო ჯგუფური პროექტი ან სხვა აქტივობა), რაც სტუდენტს იმავე სწავლის შედეგებზე გაიყვანს;
- სამაგისტრო ნაშრომში კვლევითი კომპონენტის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საგნის „კვლევის მეთოდები“ ძირითად ბლოკში გადმოტანა და აკადემიური წერის თემატიკის დამატება;
- გადაიხედოს სავალდებულო საგანის „კომუნიკაცია“ სილაბუსი, რომელში მითითებულ ძირითად ლიტერატურაში არის ორი წიგნი: გიორგი თარგამაძის „ინფორმაციული ომი საქართველოს წინააღმდეგ“ და Sergio Sismondo-ს „An Introduction to Science and Technology Studies“, რომელიც შესაძლებელია სხვა სილაბუსიდან არის გადაყოლილი, მექანიკურად, რადგან არ შეესაბამება აღნიშნული კურსის სილაბუსს.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის 6 იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის „მუსიკის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მუსიკის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	მუსიკა - დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურები
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, სოფიო კილასონია მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ნდობისთვის, აღნიშნა რომ პირველად არის ექსპერტის ამპლუაში და არ აქვს ინფორმაცია ექსპერტისათვის გამოყოფილი დროის რეგლამენტის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ საბჭო არ ზღუდავს ექსპერტებს დროში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სათქმელს რაც შეიძლება მოკლედ ჩამოაყალიბებდა. მან აღნიშნა, რომ მისი და ექსპერტ, სალომე ჩარკვიანის მიერ პროგრამა დადებითად შეფასდა, რასაც დასკვნაც აჩვენებს, მათი აზრით ხუთივე სტანდარტი შეესაბამება სტანდარტს, თუმცა ქვეკომპონენტებში არსებობს, როგორც რეკომენდაცია, ასევე საგულისხმო რჩევები. მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციებს/რჩევებს საფუძვლად უდევს ექსპერტთა ხედვა, რომლის თანახმადაც ყველა წარმატებულ პროგრამა საჭიროებს დანახვას, თუ როგორ საჭიროებს განვითარებას უახლოეს მომავალში, მისი რეკომენდაციის მოტივაციაც და მთავარი არგუმენტებიც სწორედ ამაზეა დაშენებული, მისი თქმით, საერთო ჯამში პროგრამა საინტერესო, გამართული და სასარგებლოა, ასევე ეხმიანება იმ გამოწვევებს, რომლებიც როგორც პროფესიულ სკოლებში, ასევე საგანმანათლებლო სკოლებში არსებობს მუსიკის სწავლებასთან დაკავშირებით და პედაგოგების აუცილებელ კომპეტენციებთან მიმართებით, თუმცა რა თქმა უნდა აქვთ რჩევებიც და რეკომენდაციაც:

- მთავარი რეკომენდაცია არის, რომ სამომავლოდ დარგობრივი მოდულის სასწავლო კურსების შინაარსობრივ ნაწილში მკაფიოდ ხილვადი უნდა გახდეს ის კომპონენტები,

რომლებიც უპასუხებენ პროგრამის მასწავლებლის ეროვნული სტანდარტის მიერ კულტურული მრავალფეროვნების აღიარებისა და დაცვის ღირებულებას. დარგობრივ მოდულში მნიშვნელოვანი დრო ეთმობა ქართული ფოლკლორული მუსიკის შესწავლას, გააზრებას, მისი ანბანის სწავლების მეთოდების შემეცნებას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა ხილული არ არის, რა დრო და ყურადღება ეთმობა სხვა ერების ფოლკლორული მუსიკის გაცნობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მომავალი მასწავლებელი ფლობდეს პროფესიულ უნარებს და სახელმწიფოებრივ აზროვნებას, რათა მან შეძლოს ტოლერანტული გარემოს შექმნა, ამის წინაპირობა კი იქნება იმ ერების მუსიკალური ტრადიციის ცოდნა-გაზიარება, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში ეთნიკური უმცირესობების სახით არიან წარმოდგენილნი, ხოლო მათი კულტურა მჭიდრო ისტორიულ კავშირშია ქართულ კულტურასთან. მასწავლებლის ეროვნული სტანდარტის II თავის მუხლი 4. პუნქტი - დ - მასწავლებლისგან ითხოვს კულტურული მრავალფეროვნების დაცვას, პატივისცემასა და გათვალისწინებას. რამაც თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოდს ამავე მუხლის სხვა პუნქტი (ი) მოსწავლეებში თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობების მიცემა. ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანია სასწავლო მოდულები ითვალისწინებდეს ისეთ საგანს, ან არსებული საგნების სილაბუსებში შეტანილ ისეთ თემებს, რომელთა ამოცანაც იქნება მუსიკის მომავალ პედაგოგს შეეძლოს საქართველოს კულტურაში (მუსიკაში) არსებული მრავალფეროვენების დადებით კონტექსტში ჩვენება და ექნება ეთნიკური უმცირესობების მუსიკალური ტრადიციის გაზიარების უნარები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე გაეცნო საპასუხო არგუმენტაციას, რიგ შემთხვევაში დასაბუთებულს და აღნიშნა, რომ ამ საკითხთან მიმართებაში არსებობს კონტრარგუმენტი. მიუთითებენ მასწავლებლის სტანდარტის სილაბუსის არსებობაზე, რომელიც წარმოდგენილია პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მოდულში, ოპონენტების აზრით ის მოიცავს კულტურული მრავალფეროვნების საკითხს, რადგან ამ საგნის ამოცანაა მომავალ პედაგოგებს გააცნონ გასათვალისწინებელი სტანდარტები და მათი ფასეულობები, ასევე ის სახელმძღვანელოები, რომლებზე მუშაობაც მასწავლებელს მოუწევს უკვე რეალური პრაქტიკის დროს, სახელმძღვანელოებში შეტანილია სხვადასხვა ხალხის კულტურა, როგორც სარიტუალო/სადღესასწაულო მუსიკის საკითხი, მაგრამ ეს არის სახელმძღვანელოებში შეტანილი.

მისი აზრით ეს ორი მოდული რადიკალურალურად განსხვავებულია ერთმანეთისგან, რადგან დარგობრივი არის მოდული, რომელიც სილაბუსებით მომავალ პედაგოგს აძლევს მთავარ შინაარსებს, შესაბამისად აკეთებინებს აქცენტებს იმ ფასეულობათა სისტემაზე, რომლებსაც, ის როგორც მასწავლებელი და როგორც პიროვნება უნდა ატარებდეს. გარდა ამისა აღნიშნული მოდულით იღებს იმ თეორიულ და პრაქტიკულ ანუ საბაზისო ცოდნას და შემდგომ უკვე ამ ცოდნას გამოიყენებს ნებისმიერი სახელმძღვანელოსა თუ სტანდარტების რეალიზაციისა და გააზრების დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დარგობრივი მოდული, ეს არის ფასეულობათა სისტემის მატარებელი შინაარსი, რაც კარგად აქვთ გააზრებული პედაგოგებს, რომლებთანაც ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელდა ინტერვიუები და მათი სურვილი/ეჭვი, რომ ამ საკითხების გამოტანა მნიშვნელოვანია სწორედ აღნიშნულმა ინტერვიუებმაც განაპირობეს. მაგ., დაისვა შეკითხვა, ხომ არ აჯობებდა რომ ზოგადად ფოლკლორზე და მუსიკის ფორმასა და მოვლენაზე მიეცათ მრავალფეროვანი ცოდნა მომავალი პედაგოგებისთცის, ბუნებრივია ყურადღება მიექციათ ქართული ფოლკლორისათვის, თუმცა პარალელურად ეჩვენებინათ, რომ არსებობს სხვა/მეზობელი ერების/კულტურული პარტნიორების ფოლკლორული მუსიკა და ამ მრავალფეროვნებაში დაენახათ ქართული ფოლკლორის მნიშვნელობა და ღირსება. აღნიშნულ საკითხის დასმის შემდეგ, პედაგოგების მოსაზრება იყო რომ ქართული არის უპირველესი და ამას არავინ ეწინააღმდეგება, შესაბამისად ექსპერტებმა გადაწყვიტეს, რომ ზემოაღნიშნული

საკითხი რეკომენდაციაში შეეტანათ. მსგავსი ტენდენცია დაინახეს იმ კურსდამთავრებულებთანაც, რომლებიც უკვე მუშაობენ პედაგოგებად და უკიდურესად ბედნეირები და კმაყოფილები არიან აღნიშნული პროგრამით, რადგან მათ ასწავლიდათ უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესორები, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით, კურსდამთავრებული პედაგოგებიც მთავარ აქცენტს აკეთებენ იმ მასალაზე, რომელიც იყო აქცინტირებული მათთან სწავლების დროს, ეს არის: კლასიკური მუსიკა მთელი თავისი სტილისტური განშტოებებით და ქართული ფოლკლორი, მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგობრივ პროგრამაში არსებობს ერთი, სრულიად უნიკალური საგანი „მუსიკალური დიდაქტიკა“, რომელიც ოსლოს მუსიკალურ აკადემიასთან თანამშრომლობის საფუძველზეა შედგენილი და ითვალისწინებს პრაქტიკული სამუშაოების დროს სხვადასხვა ევროპული ნაწარმოებების გამოცდას მუსიკალური თამაშების დროს. ზემოაღნიშნულ შემთხვევაშიც კი ორმა პედაგოგმა აქსპერტებს განუცხადა, რომ უმჯობესი იქნება ეს მორგებული იყოს ქათულ ფოლკლორზე. ჯამში შეიქმნა სურათი, რომ უმნიშვნელოვანესია დარგობრივი მოდულის გამრავალფეროვნება, კულტურული მრავალფეროვნების თვალასაზრისით, რასაც, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, ეყრდნობა ჯგუფის რეკომენდაცია.

მან განიხილა ერთ-ერთი რჩევა, რომელიც ბმაში იყო რეკომენდაციასთან:

- დაწყებითი, საბაზისო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მუსიკაში მასწავლებელს წარმოიდგენს იმ ინდივიდად, გიდად რომელმაც მოსწავლეს უნდა გააცნოს ყველა ძირითადი მუსიკალური ჟანრის ენა და არა მხოლოდ კლასიკური მუსიკა და ქართული ფოლკლორი. საჭიროა, პროგრამის დარგობრივი სპეციალიზაციის მოდულის სილაბუსებში გამოიკვეთოს თანამედროვე ეპოქაში არსებული ყველა მნიშვნელოვანი მუსიკალური ჟანრის სწავლა-სწავლების კომპონენტები და აისახოს საათობრივ გადანაწილებაში. მომავალ პედაგოგს უნდა შეეძლოს მოსწავლეებს გააცნოს ბლუზი, ჟაზი, პოპი, ფოლკი, ელექტრონული მუსიკა და სხვა. ანუ მუსიკა, რომელიც მოზარდს ესმის გარესამყაროში და პირად სივრცეში და მასში ორიენტაცია უწევს. მნიშვნელოვნად მივაჩნია, შესაბამისი სალექციო საათები დაეთმოს (აისახოს სილაბუსებში) თანამედროვე მუსიკალური ჟანრების და ფორმების საკითხებს, რათა მომავალი პედაგოგი სიღრმისეულ ცოდნას ფლობდეს სამუსიკო ხელოვნების თანამედოვე ბუნების და მრავალფრეოვნების შესახებ. მათი შედარების და პარალელურად ხედვის უნარს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საპასუხო წერილში ეწერა, რომ უკვე გამოკვეთილია, რადგან ასწავლიან კლასიკური მუსიკის ნაირფეროვნებას ასწავლიან, მაგ., ასწავლიან სხვადასხვა სტილისტურ ბაროკოს, იმპრესიონიზმს, მაგრამ რჩევაში ნაგულისხმევი იყო თანამედროვე სამყაროში არსებული მუსიკალური მრავალფეროვნების შესახებ მეტი ინფორმაცია/ცოდნა, რადგან თანამედროვე მოზარდი ცხოვრობს გარემოში, სადაც ექსპერიმენტული, ელექტრონული მუსიკაა, ისმის „პოპ-მუსიკა“, მშობლები უსმენენ ჯაზს და ბლუზს. ისინი კი კლასიკუს სამუსიკო სფეროსა და ეპოქას არაბლანსირებულად მეტ ყურადღებას ანიჭებენ, გასაგებია, რადგან ეს არის საბაზისო, თუმცა არის წყვეტა იმ ცოდნასა და რეალობას შორის რომელშიც არსებობენ და მნიშვნელოვანია გათანაბრდეს მათი ცოდნა, რაც არამარტო სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამის პრობლრემა, არამედ სახელოვნებო განათლების პროგრამების პრობლემა, ამას აქვს თავისი შრეები რატომ და მიბმულია პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული სახელოვნებო განათლების პრობლემებთან, თუმცა რჩევაად მაინც დაიწერა, რომ დაიწყოს ამაზე მსჯელობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ჩხეიძემ მადლობა გადაუხადა, როგორც ექსპერტებს, სიღრმისეული და ღირებული რჩევების ფორმირებისთვის, ასევე ცენტრის თანამშრომელს ვიზიტის ორგანიზებისა და სამუშაო/კონსტრუქციული გარემოსთვის, რომელშიც მიმდინარეობდა შეხვედრები. მისი ხედვით, ექსპერტების მიერ აღნიშნული რეკომენდაცია ზოგადად კონსერვატორიის მხრიდან აღქმულია, როგორც ძალიან ფასეული რჩევა, რადგან ზოგადად აკრედიტაციის პროცედურაში „რეკომენდაცია“ არის პროგრამაში ისეთი ხარვეზი, რომელიც ხელს უშლის სტანდარტთან შესაბამისობას, რის გამოც ქვესტანდარტმა 2.2 მიიღო შეფასება „მეტწილად შესაბამისია“, როგორც ექსპერტთა თავმჯდომარემ განაცხადა ხელს არ უშლის ყველა სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მაგრამ მათი ხედვით 2.2 სტანდარტის მოთხოვნებში სტრუქტურირებული შეფასების კრიტერიუმებთან სწორედ ეს რეკომენდაცია ნაკლებად არის შესაბამისობაში. მისი თქმით ძალიან საინტერესო იყო ექსპერტებთან მუშაობა, მათთან საუბარი - ძალიან სასიამოვნო. მან აღნიშნა, რომ უშუალოდ სამუსიკო ხელოვნების სპეციალისტი არც ერთი ექსპერტი არ არის, მიუხედავად ამისა ისინი ძალიან ღრმად ჩაწვდნენ პროგრამის მნიშვნელობას და ობიექტურად შეაფასეს იგი. პროგრამის შესახებ კონტრარგუმენტებზე სასაუბროდ პროგრამის ხელმძღვანელს გადასცა სიტყვა.

პროგრამის ხელმძღვანელი, ლეილა მარუაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შორმისა და კოლეგიალური დამოკიდებულებისთვის, რომელიც სუფევდა ვიზიტის დროს. რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს ეხებოდა იმ მეთოდოლოგიას რომელსაც მიმართავს კონსერვატორია ფოლკლორული მუსიკის შესწავლის კუთხით და აღნიშნული იყო, რომ იმ სილაბუსებში, რომელიც განიხილეს ექსპერტებმა, არ ჩანს რა დრო და ყურადღება ეთმობა სხვა ერების ფოლკლორული მუსიკის გაცნობას, რასთან დაკავშირებითაც განაცხადა, რომ კონსერვატორიის პოზიცია, რომელიც ავითარებდა და ამუშავებდა აღნიშნულ პროგრამას, მათი მიდგომა იყო, რომ სჭირდებოდათ, ყოფილიყო ხილული და დაეკავშირებინათ დღეს არსებული რეგულაციებისთვის, აღსანიშნავია ისიც, რომ მუსიკის სტანდარტი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წელს, პროგრამაზე მესამ წელია ისწავლება, როგორც საგანი, მაგრამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ სტანდარტის მოთხოვნები - ეროვნული და სხვადასხვა ხალხის ფოლკლორული მუსიკის კუთხით არის განხილული. საგანში განსახილველი თემატიკების ჩამოსათვლელად სიტყვა გადასცა მოწვეულ მასწავლებელს, თამარ თევდორაშვილს.

მოწვეულმა მამასწავლებელმა, თამარ თევდორაშვილმა მადლობა გადაუხადა ეექსპერტებს რეკომენდაციებისა და რჩევებისთვის, რადგან ეს საჭიროა მათი პროგრამისათვის და რაც გასათვალისწინებელია აუცილებლად გაითვალისწინებენ, რათა უფრო მეტად განვითარდნენ, მაგრამ აღნიშნული ლექტორი 2 წელია კითხულობს სტანდარტის მიხედვით დაწერილ პროგრამას და არის კიდეც სახელმძღვანელოს ავტორიც, ექსპერტემბა აღნიშნეს, რომ სახელმძღვანელოში მითითებულია თემატიკა და რა თქმა უნდა თემები მიცემულია, რადგან მასწავლებლებისთვის იყოს მეტად ხილული, თუმცა თვითონ, როგორც ლექტორს იმ საკითხებს მაქსიმალური დატვირთვით ასრულებს, რადგან მისგან გმაომდინარე ხდება ყველაფრის გათავისება სტუდენტების მიერ. სახელმძღვანელოს ყოველ მესამე თავში ეხება ეთნოგრაფიას, რომელიც არ ეხება მხოლოდ ქართლ-ხალხურ მუსიკას, მაგ., შედის სხვადასხვა ქვეყნის გართობის ფორმები და უამრავი მაგალითებია წარდგენილი, როგორ შეუძლია მასწავლებელს განახორციელოს ისინი პრაქტიკაში, მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნის ინსტრუმენტები და აკეთებენ მუსიკალურ კოლაჟებს, როგორ შეიძლება გამოიყენოს მოსწავლემ მუსიკალური ინსტრუმენტები და დაუკავშიროს ის საკუთარი ქვეყნის ისტორიას, პრაქტიკიდან მოყავს ბევრი მაგალითები, ასწავლის სკოლაში, სადაც მრავლად არიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, სკოლა არის ორ სექტორისგან შედგება: ქართულენოვანი და რუსულენოვანი, მას შეუძლია შევიდეს რუსულ სექტორში, სადაც ეთნიკურად სხვადასხვა

ოჯახებიდან არიან ბავშვები და ცდილობს მათაც დაუკავშიროს გაკვეთილები და სთხოვს ხოლმე საკუთარ კულტურაზე საუბარს, რას აკეთებენ დღესასწაულებზე და ა.შ. რაზე ლაპარაკიც მოსწავლეებს ძალიან სიამოვნებთ, ლექტორი კი რასაც ბავშვებთან აკეთებს გადმოაქვს სტუდენტებზეც და მათ აძლევენ მაგალითს, როგორ შეიძლება წარმოაჩინონ სხვადასხვა ქვეყნის კულტურა და შექმნან საკლასო გარმეო უფრო ტოლერანტული.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ლეილა მარუაშვილმა განაცხადა, რომ ისწავლება დარგობრივი მოდულის ერთ-ერთი დისციპლინა, ძალიან მნიშვნელოვანი საგანი - „სამუსიკო დიდაქტიკა და მუსიკალურ-რიტმული აღზრდა“, რომლის ფარგლებშიც მთელი მსოფლიოს ფოკლნოლრის მაგალითები და არამარტო ისწავლება და სწორედ ფრაქტიკის კუთხით, აღნიშნულ საკითხზე სასაუბროდ სიტყვა გადასცა მოწვეულ მასწავლებელს, ნინო ჭალისურს.

მოწვეულიმასწავლებელი, ნინო ჭალისური მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, ბოდიში მოუხადა რადგან ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ ჩხართო კამერა და განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული კურსის სილაბუსის ფარგლებში განიხილავენ, როგორც ქართულ ასევე უცხო ქვეყნების მუსიკალური ფოკლორი, მაგ., ახალი ზელანდია, აფრიკა, ნორვეგია, ამერიკული, ბულგარული, მექსიკური, არაბული, ჩერქეზული, სერბულიმ რუმინული და ებრაული ცეკვა/სიმღერა, ეს ის აქტივობებია, რაც მან სილაბუსით გაიხსენა, თუმცა ამ აქტივობების გარდა სხვა მრავალი ქვეყნის აქტივობებს გადიან ხოლმე, რაც შეეხება იმას, რომ ქართულთან ნაკლებადაა ინტეგრირებული, ასე ვერ იტყოდა, რადგან უცხოური ტრადიციული სიმრერები/მელოდიები არის გასაღები, რომ მოარგონ შემდეგ თავიანთ საგაკვეთილო პროცესს, რეალურად, უნდა მოახდინონ ადაპტირება საკუთარ პროგრამასთან, მისი თქმთ ასწავლიან ნორვეგიისა და ორფის მიდგომებს, რადგან საგაკვეთლო პროცესში დანერგონ და მოარგონ ქართულ ტრადიციულ სიმღერას, თამაშებს, ზოგადად ამ აქტივობების შემდეგ ყოველთვის მსჯელობენ, როგორ შეიძლება თითოეული აქტივობა დაუკავშირონ ქართულ ხალხურ სიმღერას/ცეკვას, რომელიც სტანდარტებით არის გათვალისწინებული, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ლექტორი ხაზს უსვამს ქართულ ფოლკლორს, იგი სპეციალობით არის ქართული ხალხური გუნდის ლოტბარი მგალობელ-რეგენტი, უმუშავია ქოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, ფოკლ-რადიოში, 6 მონოგრაფიის ავტორია ქართველ ლოტბარებზე, აქედან გამომდინარე მისთვისაც მტკივნეული თემაა, რომ არ იყოს წამოწეული წინა ფლანგზე. მან განმარტა რომ აღნიშნულ სიმღერებს იყენებს, რადგან მათში მკვეთრად გამოხატულია ის მიდგომები, რომლებიც დანერგილია ნორვეგიელებისა და სხვათა მიერ. ეს არ არის ამოჭრან და გადაიტანონ საგაკვეთილო სივრცეში, უნდა მოარგონ საგაკვეთილო პროცესს, უბრალოდ, ხერხები, რომელი ხერხებითაც სწავლობენ აფრიკულს, რომელის ღერძია რიტმი, უნდა მიუსადაგონ ქართული ესა თუ ის სიმღერა რონდოს ფორმას, რომელიც სხვა ამერიკულ სიმღერაში ჩანს კარგად და შემდეგ მსჯელობით მიდიან იმ სიმღერებამდე/მელოდიებამდე, რომელიც არის ტრადიციული და ხვდებიან, რომ ეს არის შესაძლებელი. აქვე მან აღნიშნა, რომ სამომავლოდ შესაძლებელია გაითვალისწინოს, რომ ეს აუცილებლად იყოს ხილული და დატანილი სილაბუსში, თუ ეს არის პრობლემა, თუმცა დაზუსტებით თქვა, რომ გვერდს არ უვლიან ქართულ ფოლკლორს, რადგან მისთვის და ნებისმიერი მასწავლებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თავდაპირველად თავისი გაიაროს და შემდეგ სხვების. მის გაკვეთილებზე არ ხდება ქართული ხალხური ფოლკლორის ხაზ გადასმა, უბრალოდ მათ უცხოური სიმღერები გამოყენებული აქვთ ხერხებად როგორ მარტივად მივიდნენ ქართულ ფოლკლორამდე, და ის ნიმუშები/მარგალიტები სიმღერები თუ რიტუალები როგორ ასწავლონ მარტივად და იმ სიმარტივეში, როგორ ასწავლონ ბავშვებს მუსიკის ელემენტები, როგორიც არის: რიტმი, მეტრი, ჰარმონია, ფორმა და ა.შ. ის

ნინო ჭალისური, ასევე მუშაობს „ევროპული სკოლის“ საერთაშორისო განყოფილებაში და სწორედ აღნიშნულმა სკოლამ ასწავლა, როგორ უნდა გამოიყენოს თითოეული მეთოდოლოგია

საკლასო სივრცეში, მას კლასში საერთოდ არ უდგას მერხები და თუნდაც მისი, საერთაშორისო განყოფილების ბავშვები არიან: თურქები, აზერბაიჯანელებიმ ამერიკელი, ბულგარელი და ყველა ეროვნების ადამიანსთვის ქართლი ფერხულიც კი უსწავლებია, ასე რომ ეს მასწავლებელზეცაა დამოკიდებული, როგორ გამოიყენებს ინსტრუმენტებს/ხერხებს თავის კლასში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სოფიო კილასონიამ განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჭალისურმა არასწორად გაიგო, რადგან ექსპერტებს მისგან არ მოუთხოვიათ მაინცდამაინც ქართული ფოლკლორის დიდი მასშტაბით ჩართვა, ექსპერტებმა მუსიკალური დიდაქტიკის საგანი მოიაზრეს, როგორც არაჩვეულებრივი და ერთადერთი გამონაკლისი დარგობრივ მოდულში, უბრალოდ აღნიშნული საგნის მთავარი ამოცანა არ არის და ვერ იქნება მ სტანდარტის შესრულება, რომელიც ექსპერტთა აზრით აკლია ამ მოდულს - კულტურული მრავალფეროვნების გააზრება, თუმცა ეს საგანი, თავისი სტრუქტურით აძლევს საშუალებას სხვადასხვა ერების სიმღერა გამოიყენოს, სადაც გადამწყვეტია უკვე პედაგოგის ცოდნა, ინტელექტი და მზაობა, აღნიშნულ შემთხვევაში ნინო ჭალისური არის არაჩვეულებრივი გამონაკლისი, რაზეც მოწმობს არა მხოლოდ სილაბუსის სიღრმე და მრავალფეროვნება, არამედ კურსდამთავრებულებიც, ექსპერტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ეს საგანი ახსენა, როგორც მოდულის დადებითი გამონაკლისი, უბრალოდ აღნიშნა, რომ რაკი სასწავლო დარგობრივი მოდული დიდ და არაბალანსირებულ აქცენტს აკეთებს ქართულ ფოლკლორზე, შესაბამისად კურსდამთავრებულებს გაუჩნდათ მოთხოვნილება, რომ ეს საგანიც მთლიანად მოერგოს ქართულ ფოლკლორს და რამდენჯერმე აღინიშნა, რომ რატომ უნდა ასწავლიდნენ ნორვეგიულ სიმღერებს, ამით მას სურს საბჭოს დაანახოს ტენდენცია, საით მით სასწავლო კლასებში, რადგან საკლასო გარემოს მეტნაკლებად კარგად იცნობს კონსერვატორიის ამ პროგრამას ცოტა კურსდამთავრებული ყავს, შესაბამისად საერთო სურათი საბოლოოდ არის ხოლმე ასეთი, რომ მუსიკის გაკვეთილები ქართული ფოლკლორის ან ერთ რომელიმე ინსტრუმენტზე მღერის გაკვეთილებად გამოდის ხოლმე. საბოლოოდ, გააზრებულ უნდა იქნას პრობლემა/გამოწვევა და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ცდილობს ეს გააკეთოს, ზუსტად ამიტომ აღნიშნა, რომ მეტი ბალანსი მართებთ თანამედროვე მუსიკის სხვადასხვა ჟანრები რომ შემოიტანონ, გამოკვეთონ და არა მეოცე საუკუნის მუსიკის ისტორია - 2 საათი, არამედ რამდენნაირია ეს და რომ ბავშვმა შეძლოს მასწავლებლის დახმარებით სცადოს ამ მრავალფეროვნების გააზრება, რაც შეეხება სტანდარტის საგანს, რომელიც სხვა მოდულშია თამარ თევდორაშვილის უნარებიდან გამომდინარე, რომელიც უძღვება, ასწავლის ამ საგანს და აქვს პედაგოგიური გამოცდილება, ბუნებრივია ის ამრავალფეროვნებს საგანს და ასწავლის და აჩვენებს ნიმუშებს, თუმცა მუსიკალური სტანდარტის საგნის ამოცანა არ არის იმ სტანდარტის დაკმაყოფილება, რომელზეც საუბრობენ, რადგან მუსიკის მასწავლებლის სტანდარტი მთავარ ამოცანად ისახავს, მომავალ პედაგოგს გააცნოს დადგენილებები და სახელმძღვანელოების შინაარსი/კონტენტი. 30 საათიანი სტანდარტის საგანი ამ სიღრმისეულ პრობლემას ვერ აგვარებს, ერთი საგანი მთელი მოდულის სიღარიბეს კულტურული მრავალფეროვნების თვალსაზრისით ვერ ჭრის და არც არის ამ საგნის ამოცანა, აქ არის რომ პედაგოგების ნიჭიწერებაზე არიან დამოკიდებულნი, ყოველთვის ასეთი სურათი ვერ იქნება, რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის შენიშვნას უპასუხა, რომ ეს რეკომენდაცია არ არის იქ სადაც უნდა იყოს, შესაძლებელია ექსპერტმა ამ ფორმატის „დრაფტის“ აღქმაში შეცდა, რადგან პირველად გააკეთა, თუმცა ჯერჯერობით ჰგონია, რომ სადაც პროგრამის შინაარსის სტანდარტია იქ უნდა ჩაეწერა, მან ასევე გამოთქვა მზაობა შენიშვნის მისაღებად თუკი უმრავლესობა ასე გადაწყვეტს და შეუცვლის ადგილს, თუმცა არ ამოიღებს. მისი მოსაზრებით ის პროცესი, რომელშიც ახლა არიან არის მნიშვნელოვანი და არ უნდა აიხვიონ თვალი, რომ ამ პროგრამის სასწავლო დარგობრივ მოდულში პრობლემაა არაბალანსირებულობის, რაც რჩევაშია, რომ თანამედროვე მუსიკალური სურათის აღქმა შეეძლოოთ, ამის ცოდნა უნდა მისცენ, უნარები და სტანდარტების გაცნობა ერთია, ყველა

ერთნაირი მზაობითა და ცოდნით არ მოვა, ამ პედაგოგებს ძალიან დიდი შარმი აქვთ რადგან აქვთ ცოდნაც, ყველას ასეთი საბაზისო ცოდნით არ მოვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ დააზუსტა რომ საუბარია 60 კრედიტიან მასწავლებლის მომზადების ერთწლიან პროგრამაზე, რაზეც დაწესებულების მხრიდან მიიღო თანხმობა. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ მასწავლებლის ერთწილიანი პროგრამის მიზანი არის, რომ მათთან მიდის სტუდენტი, რომელმაც ჩააბრა დარგობრივი გამოცდა ანუ მას აქვს დარგობრივი ცოდნა და უნივერსიტეტმა უნდა მისცეს ასაკობრივი ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და ამასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცოდნა, აქედან გამომდინარე მისი აზრით ასე დაყოფა, დარგობრივი მოდულის, როცა საგნებია გიტარისა და ფორტეპიანოს პრაქტიკული კურსი, ეს რომ იყოს მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტიანი, ეს ამ კონსტრუქციით უნდა იყოს, თუმცა დარგობრივ მოდულს სახელიც უნდა შეეცვალოს, დარგობრივი ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, ასაკობრივი თავისებურებების მოდული, ან ზოგადი ფსიქოლოგიის მოდული, რადგან სტანდარტს ასე შეეწინააღმდეგებიან მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამის სტანდარტს, თუმცა ალბათ სახელიც უნდა სეიცვალოს, რადგან მიდის სტუდენტი, რომელსაც ჩაბარებული აქვს დარგობრივი გამოცდა, თუმცა საბჭოს წევრისთვის გასაგებია ისიც, რომ რადგან კონსერვატორიაა მათ სურთ დარგობრივი თვალსაზრისით გაუღრმავონ ცოდნა, ამ მხრივ მნიშვნელოვანი იქნებოდა ღირებულებითი განათლების მიმართულებით, რაზეც ექსპერტი საუბრობდა და ის არ გულისხმობდა რომ მაინცდამაინც ნორვეგიული ფოლკლორი უნდა ესწავლებინათ, მაგრამ ის რომ აფხაზური ან მეზობელი ხალხის ფოლკლორი უნდა ისწავლებოდეს, რომლითაც გაჯერებულია ხალხური ფოლკლორი. მისი კითხვა ეხება დარგობრივი მოდულის სახელის ცვლილებას, რადგან ეს არის 60 კრედიტიანი პროგრამა.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ჩხეიძემ განაცხადა, რომ აუცილებლად დაფიქრდებიან ამ მიმართულებით, თუმცა აღნიშნა, რომ როდესაც მასწავლებლის დარგობრივი სტანდარტი შეიცვალა, განხორციელდა მონიტორინგი სწორედ დარგობრივ მოდულთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ, ამის შესახებ ჩატარდა ვიზიტი, დაიდო დასკვნა, შემდეგ აკრედიტაციის სხდომა ჩატარდა და ამ თვალსაზრისით დარგობრივ მოდულთან შეუსაბამობა არ ფიქსირდება.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ დაწესებულება არ ამზადებს მუსიკის სპეციალისტს, სტუდენტი მოდის ამგვარი განათლებით და მათ ზოგადი ფსიქოლოგია და ა.შ. უნდა ასწავლონ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ჩხეიძემ განაცხადა, რომ აუცილებლად დაფიქრდებიან ამის შესახებ, თვითშეფასების ჯგუფი განიხილავს აღნიშნულ წინადადებას, თუმცა არსებულ დარგობრივ სტანდარტთან შესაბამისობის აქტი არსებობს. მან განაცხადა, რომ პროგრამის მიზანი არ არის ისეთი დარგობრივი ცოდნის მიცემა, რომელიც წარმოადგენს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას, ეს არ არის აპლიკანტი რომელიც სკოლას ამთავრებს და შემდეგ მუსიკაში უნდა მიიღოს ცოდნა, მან ეს კომპეტენცია უკვე დაადასტურა - მასწავლებლის საგნის გამოცდით და ამიტომ აღნიშნული პროგრამის დიზაინისა თუ მის შინაარსობრივ მხარეზე მუშაობის დროს აქცენტი კეთდება არა, მაგ., რას წარმოადგენს რონდოს ფორმა, არამედ როგორ ვასწავლოთ, სწავლების მეთოდიკაზეა აქცენტი და არა დარგობრივი ცოდნის გადაცემაზე, რაც ბაკალავრიატის პროგრამის მიზნებს წამოადგენს.

საბჭოს წევრმა, გურადა ჭელიძემ აღნიშნა, რომ ძალიან საინტერესო დისკუსია იყო და აშკარად ორივე მხარე ჩახედულია დარგობრივ სტანდარტშიც, პროფესიაშიც და ძალიან სასიამოვნო იყო დისკუსიის მოსმენა, მას სურდა გამოხმაურებოდა პირველ რიგში ექსპერტს 30 საათიან სტანდარტთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ბევრ პრობლემას მუსიკისა და მსგავსი ტიპის საგნის სწავლებასთან დაგავშირებით ქმნის ეროვნული სასწავლო გეგმა, საათების ის მცირე რაოდენობა, რომელიც გამოყოფილია სკოლებში აღნიშნული დისციპლინის სწავლებისათვის, აქედან გამომდინარეობს მისი კითხვა, რადგან როგორც თვითშეფასების კითხვარში წაიკითხა დაწესებულებას უკვე ყავს კურსდამთავრებულები, რამდენად არის მოთხოვნა სკოლებში ამ 60 კრედიტიანი პროგრამის კურსდამთავრებულებზე, რადგან სკოლა უკვე ვეღარ იღებს მასწავლებელს, თუ მას არ ექნება გავლილი 60 კრედიტიანი პროგრამა, მაგრამ თუ არსებობს ვაკანსიები სკოლებში, საინტერესია როგორია პროფესიული კუთხით მათი დასაქმებულთა მაჩვენებელი. რაც შეეხება მეთოდიკისა და დიდაქტიკის საკითხებს, მისი აზრით, ნინო დობირჯგინიძის რეკომენდაცია იყო სწორი, შესაცვლელია სახელწოდება, რადგან შინაარსობრივ ნაწილში აბსოლუტურად ყველა კურსი მიმართულია დიდაქტიკაზე, სწავლებაზე, მეთოდებზე და ა.შ. საბჭოს წევრი განასაკუთრებით გამოეხმაურა დაწესებულების წარმომადგენელს, ნინო ჭალისურს და აღნიშნა, რომ საერთაშორისო სკოლების გამოცდილება მუსიკის ან ნებისმიერი სხვა საგნის სწავლებისას არის რადიკალურად განსხვავებული ქართული საგანმანათლებლო სისტემისგან. ის თავადაც მუშაობდა იმ სკოლაში, სადაც ერთ სივრცეში გაერთიანებული იყოს 3 სკოლა: საერთაშორისო ბაკალავრიატი, ამერიკული სკოლა და ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და ყოველთვის იყვნენ ორიენტირებულნი იმაზე, რომ ის გამოცდილება, რაც ჰქონდა საერთაშორისო სკოლას მარტივიდან რთულისკენ მიმავალი გზა ეპოვათ და გადმოეტანათ ქართულ სინამდვილეში. ის მეთოდები, რომელსაც ნინო ჭალისური იყენებს საგანმანათლებლო პროცესში მისაღები საბჭოს წევრისათვის, შესაბამისად ის მხარს დაუჭერს დაწესებულების ამ პოზიციას და დაამატა რომ მიუხედავად იმისა რომ არ არის დარგის სპეციალისტი სკოლაში მუშაობის გამოცდილება აძლევს ამის თქმის საშუალებას.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ჩხეიძემ განაცხადა, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ქართველი ტყვეებისგან, რომლებიც ერთმანეთს არასდროს შეხვედრილან, გერმანელმა მეცნიერებმა იმის გამო, რომ ეთნიკური მრავალფეროვნების ჩაწერის საშუალება ჰქონდათ, ქართველი ტყვეები ერთად შეკრიბეს და მათ ერთად იმღერეს გურული, პოლიფონიური ნიმუშები.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ლეილა მარუაშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს წევრს აქვს დადებითი შეფასება პროგრამის მიმართ. კითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ამ პროგრამის ორივე გამოშვების ყველა კურსდამთავრებული მოქმედი პედაგოგია და ასწავლიან საჯარო სკოლებში, ამიტომ ეს პრობლემა კურსდამთავრებულებთან დაკავშირებით ნამდვილად არ არსებობდა. მან დაამატა რომ სამწუხაროდ, განათლების სფეროში მუსიკის მასწავლებელი, როგორც კვალიფიციური პედაგოგი არ მზადდება, მაგრამ 1 წლიანი პროგრამა ანაზღაურების დეტალებს შეიცავს თავის თავში და ძალიან მნიშვნელოვანია რომ არსებობდეს ასეთი პროგრამა. მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, დღესდღეობით უმრავლესობა ვინც მუშაობს სკოლებში და ალბათ უპირველეს ყოვლისა რეგიონებში მუსიკის მასწავლებლად, უმაღლესი განათლებითაც კი არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად, ასეთი პროგრამის განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:41
დასრულების დრო: 17:51

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის „მუსიკის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია:

- სამომავლოდ დარგობრივი მოდულის სასწავლო კურსების შინაარსობრივ ნაწილში მკაფიოდ ხილვადი უნდა გახდეს ის კომპონენტები, რომლებიც უპასუხებენ პროგრამის მასწავლებლის ეროვნული სტანდარტის მიერ კულტურული მრავალფეროვნების აღიარებისა და დაცვის ღირებულებას. დარგობრივ მოდულში მნიშვნელოვანი დრო ეთმობა ქართული ფოლკლორული მუსიკის შესწავლას, გააზრებას, მისი ანბანის სწავლების მეთოდების შემეცნებას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა ხილული არ არის, რა დრო და ყურადღება ეთმობა სხვა ერების ფოლკლორული მუსიკის გაცნობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მომავალი მასწავლებელი ფლობდეს პროფესიულ უნარებს და სახელმწიფოებრივ აზროვნებას, რათა მან შეძლოს ტოლერანტული გარემოს შექმნა, ამის წინაპირობა კი იქნება იმ ერების მუსიკალური ტრადიციის ცოდნა-გაზიარება, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში ეთნიკური უმცირესობების სახით არიან წარმოდგენილნი, ხოლო მათი კულტურა მჭიდრო ისტორიულ კავშირშია ქართულ კულტურასთან. მასწავლებლის ეროვნული სტანდარტის II თავის მუხლი 4. პუნქტი - დ - მასწავლებლისგან ითხოვს კულტურული მრავალფეროვნების დაცვას, პატივისცემასა და გათვალისწინებას. რამაც თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოდს ამავე მუხლის სხვა პუნქტი (ი) მოსწავლეებში თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობების მიცემა. ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანია სასწავლო მოდულები ითვალისწინებდეს ისეთ საგანს, ან არსებული საგნების სილაბუსებში შეტანილ ისეთ თემებს, რომელთა ამოცანაც იქნება მუსიკის მომავალ პედაგოგს შეეძლოს საქართველოს კულტურაში (მუსიკაში) არსებული მრავალფეროვენების დადებით კონტექსტში ჩვენება და ექნება ეთნიკური უმცირესობების მუსიკალური ტრადიციის გაზიარების უნარები.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის ვანო

სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის „მუსიკის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

17:57 საათზე სხდომა დატოვა ირაკლი ბურდულმა.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი გეგენავა.

3. მესამე საკითხი: შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	---
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№238 12.12.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	---
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი - 0915
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	---
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო,თბილისი, 0114 მეფე სოლომონ II-ის ქუჩა №4.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	----

4. მეოთხე საკითხი: შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	---
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№239 12.12.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	---
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრი - 0915
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	---
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0114, თბილისი, მეფე სოლომონ II-ის ქუჩა №4.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	----

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, მარინე თოიძემ განაცხადა, რომ განიხილებოდა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის“ როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი

ანგარიშები, აღნიშნული საკითხების ერთად განხილვაც აბსოლუტურად მიზანშეწონილი იყო, რადგან რეკომენდაციები ორივე პროგრამაზე თითქმის იდენტური გახლდათ. გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზის ინსტრუქცია და შესაბამისი მექანიზმები;
2. პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და პროგრამის განვითარების მიზნით ჩატარდეს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების რელევანტური ანალიზი;
3. აკადემიური პერსონალი აქტიურად იქნეს ჩართული პროგრამის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესებში;
4. პროგრამაში შემცირდეს სპორტის შემსწავლელი სასწავლო კურსების მოცულობითი წილი (ან შესაბამისი საგნების მოთავსდეს არჩევითი საგნების ბლოკში) და ასევე, გაიზარდოს რეაბილიტაციის (აღდგენითი მკურნალობის) და კლინიკური მედიცინის ამსახველი კურსების წილი;
5. განახლდეს და დაკორექტირდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა განახლდეს წიგნადი ფონდი განახლება თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურით;
6. უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობა;
7. პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აღწერილი სწავლის მეთოდებიდან, რაც საერთოა თითქმის ყველა კურსის სილაბუსის მიხედვით, ჩამონათვალში დარჩეს ის მეთოდები, რომლებსაც ჩართული აკადემიური პერსონალი რეალურად იყენებს სწავლებაში და საგნების სპეციფიკის გათვალისწინებით რელევანტურად თვლის;
8. სწავლის შედეგების შეფასების რელევანტურობის მიღწევის მიზნით პერსონალმა უნდა კარგად გაიაზროს სწავლების მეთოდები, და შედეგების ანალიზზე დაკვირვებით გააუმჯობესოს შეფასების ფორმები;
9. სწავლა – სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისთვის, მოწვეულ პედაგოგებისათვის დაიგეგმოს და ჩატარდეს პრაქტიკული ხასიათის ტრენინგები;
10. გათვალისწინებულ იქნეს გარე ხარისხის შეფასების შედეგები და საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები;
11. უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური პერსონალის, მოწვეული პედაგოგების, სტუდენტების, დამსაქმლებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავების, განხორცი-ელების, შეცვლისა და მონიტორინგის პროცესის ყველა ეტაპზე, რაც შესაბამისი დოკუმენტაციით უნდა დასტურდებოდეს;
12. აუცილებელია ან დადასტურდეს „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სასწავლო კურსისი ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შესაბამისი მიმართულებით ან აღნიშნულისასწავლო კურსის ხელმძღვანელი ჩანაცვლდეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირით.

იმ დოკუმენტაციის მიხედვით, რაც წარდგენილი იყო, მაგ., აკადემიური საბჭოს ოქმი, რექტორის რელევანტური ბრძანებები ამ საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდაციები, რომლებიც იქნა გაცემული, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით დაკმაყოფილებულია, ასევე, წარმოდგენილია ლიტერატურის ჩამონათვალი თუ რა დაემატა, მათ შორის ბევრი თანამედროვე ლიტერატურა. სილაბუსებშიც განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები და რეკომენდაციები, რომლებიც მაშინდელ საბჭოს ჰქონდა გაცემული დაკმაყოფილდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მანანა ცერცვაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, ყველას ჯანმრთელობა უსურვა და მადლობა გადაუხადა ექსპერტს ანგარიშების გულდასმით შესწავლისთვის. მისი თქმით, დაწესებულებისათვის მისაღები იყო ყველა რეკომენდაცია შეეცადნენ გაეთვალისწინებინათ ყველა მათგანი ასევე შეიტანეს ფაქტობრივად ყველაფერში განახორციელეს ცვლილება, რადგან დაწესებულების წარმომადგენლებისათვის მისაღები იყო ექსპერტების მიერ შესრულებული სამუშაო და მათ მიერ გაცემულმა მითითებებმა და რეკომენდაციებმა კიდევ უფრო სიღრმისეულად დაანახა ინსტიტუციას გამოსასწორებელი/გასაუჯობესებელი მხარეები.

პირველი რეკომემენდაცია, რომელიც უშუალოდ მის სამსახურს ეხებოდა: „დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზის ინსტრუქცია და შესაბამისი მექანიზმები“, დაკორექტირდა, I, II, V პუნქტში აქვთ მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც 2-ჯერ აფასებენ პროგრამას - მსვლელობისას და დასრულების შემდეგ და ცვლილებები შეიტანეს ორივე ნაწილში. დანარჩენზე სასაუბროდ პროგრამის ხელმძღვანელს გადასცა სიტყვა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დეტალიზება არ იყო საჭირო, რადგან ექსპერტმა რეკომენდაციებიც წარადგინა და თუ რაიმეს დამატება სურდათ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გამოიყენებინათ სიტყვის უფლება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ შეფასება მიიღეს და ძალიან კმაყოფილნი არიან ამ სიღრმისეული შეფასებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ ვინაიდან ეს არ არის აკრედიტაციის პროცესი, ის საკითხები რაც მას გაუჩნდა არ არის აქტუალური. მან აღნიშნა, რომ არ არის ამ საკითხის სპეციალისტი, თუმცა მომიჯნავე სპეციალობაშია და სადაც საუბარია თერაპიასა და რეაბილიტაციაზე, იქ აუცილებელია ნევროლოგიაც იყოს, რადგან ძირითადად ნევროლოგიური დარღვევებით ხდება ხოლმე დახმარების გაწევა, მან, როგორც ექიმმა ეს შეარჩია და ეს არის მისი კეთილი რჩევა, თუმცა რადგან პროგრამის რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიში განიხილება, უფრო ღრმად ვერ/არ ჩაერევა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მართალია ეს არ გახლდათ აკრედიტაციის საკითხის განხილვა, თუმცა არის შედეგების წარმოდგენის პროცესი რაც მიმართული უნდა იყოს პროგრამის გაუმჯობესებისკენ, შესაბამისად ღირებული რჩევაა.

პროგრამის ხელმძღვანელი, ლელა აფციაური მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს და განაცხადა, რომ ორივე პროგრამაში, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საფეხურზე შეტანილია ნევროლოგია, კითხულობს ძალიან კარგი სპეციალისტი, რევაზ ლუკავა, ეს არის მეოთხე სემესტრის მასალა ბაკალავრიატზე და პირველი სემესტრის (ბავშვთა ნევროლოგია) - მაგისტრატურაზე, ასე რომ ნევროლოგია თავისი კრედიტებით სრულად არის წარმოდგენილი, ამას გარდა პრაქტიკის კომპონენტში აქვთ 55 პრაქტიკა და იქაც არის გათვალისწინებული ნევროლოგიური საკითხი. მაგისტრატურაზე „ბავშვთა ნევროლოგიას“ კითხულობს მოწვეული სპეციალისტი ქეთი ინასარიძე, რომელიც კითხულობს „ქცევით დარღვევებსაც“ და ამიტომ ახლოს არის ნევროლოგიური პათოლოგიები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:12
დასრულების დრო: 18:30

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	---
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№244, 13.12.2019

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	---
6	უმაღლესი განათლების საფეხური	სადოქტორო
7	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი - 0311
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	---
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60 (სასწავლო კომპონენტი)
11	განხორციელების ადგილი	საქართველო 0800, ქ. ახალციხე. რუსთაველის 122 უნივერსიტეტის მე-2 კორპუსი
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	----

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტი, ეკა გეგეშიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ ფაქტობრივად წინა დასკვნის საფუძველზე რეკომენდაციები მიმართული იყო იმისკენ, რომ 4 წლის განმავლობაში სადოქტორო ნაშრომი დაცული არავის ჰქონდა და ამის გარშემო ტრიალებდა მთელი რიგი რეკომენდაციები. მისი თქმით, დაწესებულებას ჰქონდა რაციონალური პასუხები და მთელი რიგი ცვლილებები განხორციელებული ამასთან მიმართებით, დასაბუთებული აქვთ პოზიცია და ცდილობენ მაქსიმალურად გაითვალისწინონ რეკომენდაციების, ფაქტობრივად სწორედ ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით მაქსიმალური ვადა პროგრამაზე 5 წლით შემოსაზღვრეს, რომ, თუმცა აქვე ექსპერტმა მოიყვანა დედის მაგალითი, რომელსაც შესაძლოა ჰყავს ჩვილი ბავშვები და ვერ/არ დაასრულა კვლევა, თუმცა ამავე დროს ძალიან ნიჭიერია და შესაძლებელია უნივერსიტეტმა ზეამოღნიშნული

შეზღუდვის გამო დაკარგოს ასეთი სტუდენტი და ის გადავიდეს ისეთ უნივერსიტეტში სადაც ამის უფლებას აძლევენ. მთავარია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ყველა გაცემული რეკომენდაცია, თუმცა არ არის გათვალისწინებული მხოლოდ ერთი რეკომენდაცია:

„თემატური სემინარი, რომელსაც დიდი დატვირთვა აქვს - 15 ECTS კრედიტი, არ შედის სილაბუსში. რამდენადაც გვესმის, ახლა ის ასევე არ არის ძლიერად დაკავშირებული იმ კვლევასთან, რომლის განხორციელებასაც აპირებს დოქტორანტი. თუმცა, რადგანაც თემატური სემინარი მიზნად ისახავს პროფესორის ხელმძღვანელობით კვლევითი უნარების განვითარებას/გაწვრთნას, ყველაზე გამოსადეგი იქნებოდა თუ დოქტორანტი ამას გააკეთებდა საკუთარი დისერტაციის თემის ფარგლებში, რითაც ხელს შეუწყობდა წინადადებების შემუშავებას, ლიტერატურის მიმოხილვას ან უკვე იქნებოდა კვლევის ნაწილი. ამრიგად, ჩვენ გირჩევთ, რომ თემატური სემინარის მიზნები, აქტივობები და შედეგები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სილაბუსში და უკავშირდებოდეს სადოქტორო კვლევას.“

აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ არ არის გათვალისწინებული, თუმცა დასაბუთებული აქვთ რატომ არ არის გათვალისწინებული. ექსპერტმა აღნიშნა რომ მინისტრის მე-3 ბრძანებაში არსებული ჩანაწერით კვლევითი ნაშრომი უნდა იყოს ერთხელ შეფასებადი, თუ ამგვრად იქნება შეფასებული, ცალკე ვერ შეფასდება რამდენად აქვს კვლევითი უნარები სტუდენტს, ამასთანავე მეორე საკითხი ეხება დებულებაში მითითებას 60 კრედიტამდე სასწავლო კომპონენტის და დანარჩენი კვლევითი კომპონენტის მითითებას, მისი აზრით, ზემოაღნიშნული საკითხების სწრაფ ცვლილებას შესაძლოა გამოეწვია წინააღმდეგობა მე-3 ბრძანებასთან და ამ საკითხის დასაბუთების თვალსაზრისით უმჯობესი იქნებოდა სადოქტორო სემინარი უფრო დეტალურად გაწერილიყო სილაბუსით და ამით შეაფასონ, ვიდრე კვლევითი ნაწილი შეუერთონ სადოქტორო ნაშრომს. ამის გარდა ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

რექტორი, მაკა ბერიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს, მან დაადასტურა უნივერსიტეტის ღიაობა და მზაობა რეკომენდაციების გასთვალისწინებლად. მან განმარტა, რომ დიდი ყურადღებითა და სიფაქიზით ეყრდნობიან და ექცევიან რეკომენდაციებს, რასაც ადასტურებს კიდეც ანგარიში და რეალურად მათ გაითვალისწინეს აბსოლუტურად ყველა რეკომენდაცია, ხოლო რაც შეეხება ზემოაღნიშნულ ერთ რეკომენდაციას, მან განმარტა რომ თემატურ სემინარს არ აქვს სილაბუსი, თემატურ სემინარს აქვს ინსტრუქცია, რომელიც თავის მხრივ დეტალურად მოცავს იმ შედეგს/კომპეტენციას, რომელზეც უნდა გავიდეს დოქტორანტი, ასევე იქ მითითებულია კრედიტების რაოდენობა და თუ გაითვალისწინებენ, რომ სილაბუსი ეს არის შედეგების და კრედიტების მოცემულობა, თემატური სემინარი იმ ტიპის სასწავლო კომპონენტია, რომ სანამ უშუალოდ დოქტორანტი არ აირჩევს მას და არ განსაზღვრავს კონკრეტულ თემას, დაზუსტებულ ინფორმაციას ამის შესახებ დაწესებულება ვერ წარადგენს. რაც შეეხება იმ ნაწილს, თემატური სემინარი იყოს უნდა იყოს თუ არა სადისერტაციო თემის ნაწილი - აღნიშნულზე თავად საბჭოზეც კი გაიმართა მსჯელობა, რაზეც საბჭომ მხარი დაუჭირა იმას რომ თემატური სემინარი არ უნდა ყოფილიყო სადისერტაციო თემის შემადგენელი ნაწილი. სწორედ ეს აღმოჩნდა გადამწყვეტი და არა უნივერსიტეტის ახირება.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გოჩა თუთბერიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს როგორც რეკომენდაციების, ასევე დაწესებულების ანგარიშის დეტალური განხილვისათვის. მისი თქმით, მათ გაითვალისწინეს პრაქტიკულად ყველა გაცემული რეკომენდაცია, თემატურ

სემინართან დაკავშირებით რექტორმა ამომწურავად ისაუბრა, ასევე ექსპერტმაც, მათი პოზიციის თანახმად კვლევით კომპონენტს ისედაც აქვს 120 კრედიტი, რომელიც სრულიად საკმარისია და სასწავლო კომპონენტი დაზარალდებოდა ამ ნაწილში, თემატური სემინარი არის იმ მიმართულებით რა მიმართულებითაც დოქტორანტი მუშაობს, თუმცა ის არ არის სადოქტორო კვლევის ნაწილი და ეს გამართლებულია.

17:51 საათზე სხდომა დატოვა მანანა კველიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ განაცხადა, რომ პროგრამის სტრუქტურიდან ჩანს, რომ კრედიტების განაწილება სემესტრები მიხედვით დაყოფილია 30-30-30-30 კრედიტად, რაც წინაარმდეგობაში მოდის საკანონმდებლო ნორმებთან. ის დაინტერესდა როგორ ხდება დისერტაციის შეფასება და დაცვა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის სასწავლო კომპონენტ არის 60 კრედიტი და კველვით კომპონენტი არის 120 კრედიტი, რომელიც ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვით.

რექტორმა განმარტა, რომ საბჭოს წევრი საუბრობს ცხრილზე, სადაც ჩაშლილია 30-30-30-30, როდესაც პროგრამის სტრუქტურაზეა საუბარი, ეს არის სიმბოლური გადანაწილება, 30 კრედიტი არ ფასდება დამოუკიდებლად, როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ის ფასდება ერთჯერადად, ბოლოს და ეს 30-30-30-30 არის სიმბოლური ჩაშლა და მინიშნება იმაზე, რომ იმისათვის, რომ საერთოდ არ მოეშვას დოქტორანტი ხდება ანგარიშის წარდგენა, უბრალოდ ზეპირი ანგარიშის წარდგენა დოქტორანტის მხრიდან და ამგვარი დაყოფა თანაბრობის განცდისთვის არის წარმოდგენილი, დანარჩენ შემთხვევაში ცალსახად ადასტურებენ, რომ აღნიშნული უნივერსიტეტის არცერთ სადოქტორო პროგრამაში არ ხდება 30-30 კრედიტად ან მინიჭება ან შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ მათი თქმით დარჩენილია მხოლოდ ფორმალური ნაწილი, რაზეც მიიღო თანხმობა რექტორისგან. დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ ესეც გარკვეულწილად დამაბნეველია, მას ესმის, რომ დაწესებულება გარკვეულწილად კოგნიტური დანახარჯის დაანგარიშებას ცდილობს კრიდიტებად რომ ჰიპოთეტურად გაენაწილებინათ, თუმცა აჯობებს რომ სამომავლოდ არ იყოს ეს ჩანაწერი, რადგან ამ ბოლო დროს ბევრი გაუგებრობა შეიქმნა ამასთან დაკავშირებით პროგრამებზე და ჯობია ის ფორმალური ნაწილი მოვიდეს პრაქტიკასთან შესაბამისობაში. მისი თქმით, მთავარია რომ ყოველივე ეს პრაქტიკაში არ ხორციელდება და სავარაუდოდ გაპარულია ძველი პროგრამიდან, როდესაც ასე ხდებოდა გადანაწილება.

უნივერსიტეტის რექტორი დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარის მოსაზარებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:50
დასრულების დრო: 18:55

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე-2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თურქია გიორგი